საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000044417702215

№4246

29 / აპრილი / 2015 წ.

GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 107
თარიღი: 1 05 2015 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის
ვიცე დირექტორს , პაატა გაფრინდაშვილს

მის.: ქ. თბილისი, მიცკევიჩის N27

ბატონო პაატა,

თქვენი მიმდინარე წლის 7 აპრილის N142 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/7917;15.04.15) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში ჩაბმულია საქართველოს მთავრობა, ძირითადად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ამავდროულად, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი დაცულია გრიფით „საიდუმლო".

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2014 წლის ნოემბერში მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გაეთვალისწინებინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან არსებითი პაკეტის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხი. თუმცა აღნიშნულს რეაგირება არ მოჰყოლია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ იმავე მოთხოვნით განმეორებით მიმართა საქართველოს მთავრობას 2015 წლის თებერვალში (იხ. თანდართული წერილები). გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული ორივე მიმართვა რეაგირების გარეშე დარჩა, თქვენი წერილის მესამე პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას - საქართველოს მთავრობის პოზიციის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ ფლობს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ანა გურგენიძე

KA000017628076715

№1460

13 / თებერვალი / 2015 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს,
ქალბატონ მაია ცქიტიშვილს

ქალბატონო მაია,

2014 წლის 6 ნოემბერს მოგმართეთ წერილით (N2/187), რათა, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტით საქართველოს პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, უზრუნველგეყოთ საქართველოს მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (NATO) არსებითი პაკეტის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ საკითხის გათვალისწინება. დღემდე ხსენებულ საკითხს რეაგირება არ მოჰყოლია.

განმეორებით მოგმართავთ, ჩვენ მიერ დასმული ზემოხსენებული საკითხი გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში, რომლის განხილვას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი.

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი

დავით პატარაია

საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის უფროსი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს

მაია ცქიტიშვილს

ქალბატონო მაია,

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტით საქართველოს პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მოგმართავთ, რათა უზრუნველყოთ საქართველოს მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (NATO) არსებითი პაკეტის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ საკითხის გათვალისწინება.

აღნიშნული საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი.

დავით პატარაია
№2/187
06.11.2014